№ 234 11 ნოემბერი, კვირა 1866—1879 11 ნოემბერი, კვირა № 234

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** წვრილის ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## განცხადება

ოთხშაბათს, 14 ნოემბრისთვის

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

**როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს**

კომედია სამს მოქმედებად გოლდონისა, გადმოკეთებული იტალიურიდამ

II

**ხასიათი გადააკეთე**

ვოდევილი ერთ მოქმედებად ქართველოვისა

ანტრაქტში პირველი პიესის შემდეგ **გაბუნიას ქალი** იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

(3—1)

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი,** 7 ნოემბერს. აქაურს გაზეთებში იწერებიან, რომ ავღანში გაგზავნილს ინგლისის ჯარს სურსათი შემოაკლდა და ამის გამო დიდი დაბრკოლება აქვს იმათ მოქმედებასაო.

**სტამბოლი,** 7 ნოემბერს. თუმცა ოსმალეთის მმართებლობამ რეფორმები გამოაცხადა, მაგრამ აქ მაინც თითქო საომრად ემზადებიან: დარდანელის გასავალს ამაგრებენ და გალიპოლში რვა ბატალიონი ახალი ნიზამის ჯარი გაიგზავნა.

ამბობენ, რომ აღმოსავლეთ რუმელიის მთავარ-მმართებელად, ალეკო-ფაშის მაგივრად, ყარათეოდორი-ფაშა დაინიშნებაო.

**სტამბოლი,** 7 ნოემბერს. ხვალ გამოვა სულთანის ბრძანება, რომლითაც განსაზღვრული იქნება ბეკკერ-ფაშის უფლება და მოვალეობა, როგორც მცირე აზიაში რეფორმების ზედამხედველისა; ბეკკერ-ფაშას მინიჭებული ექნება აღმასრულებლობითი უფლება და აგრეთვე უფლება, რომ რომელიმე საჭირო რეფორმის შემოღების პროექტი პირ-და-პირ ხონთქარს წარუდგინოს.

**რომი,** 7 ნოემბერს. სამინისტროს თავსმჯდომარემ კაიროლიმ წარუდგინა იტალიის კაროლს ყველა მინისტრების ქაღალდი სამსახურიდამ დათხოვნაზედ.

**ლონდონი,** 6 ნოემბერს. ლონდონში და ლივერპულში კარგი ვაჭრობა არის მატყლისა; უცხო ქვეყნიდამ მოტანილ მატყლის ფასმა მანეთზე ერთ აბაზამდინ მოიმატა.

**პეტერბურღის ბირჟა,** 8 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | | მან. კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის | — | 94—25 |
| მეორე | — — — — | 93—25 |
| მესამესი | — — — | 93—75 |
| მეოთხესი | — — — | 93—50 |
| აღმოსავლეთის პირ. | — | 90—25 |
| აღმოსავლეთის მეორე | — | 90—25 |

## ფელეტონი

### ისტორიული მასალები.

(გაგრძელება)

ამ დროს მაჰიხელლები განდგნენ და დაუწყეს წინააღმდეგობა ოსმალოს მთავრობასა ულარს პირთ მიღებისათვის სამსახურში, რომელნიც საზოგადოებას უწყალოდ ეპყრობოდნენ, სცარცვამდნენ, თვალის ჩინს ართმევდნენ და, მშვიდობის ჩაგდების მაგიერად, უფრო არეულებას ავრცელებდნენ, რადგანაც სარგებლობდნენ თვითან. მაგრამ ჰამიდ-ბეგი გაგზავნეს დიდის ჯარითა და იმან დაამშვიდობა, დააწყნარა.

აჭარლებიც რომ ამდგარნი იყვნენ შარიფ-ფაშაზედ, გარდაგდებას თუ მოკვლას უპირებდნენ; შუა ჩააყენა მაშუალად გავლენიანი კაცები და რის ყოფით ძლივ შეარიგეს ფაშასთან. სატირელი ეს იყო, ერთი ოლქა შეურიგდებოდა, მეორე განზედ გადგებოდა და უწყობდნენ ავის თვალით ბღვერასა; მით დაიხელთეს შანაგის ოლქის ერთი წყობა, დაიჭირეს და მოიყვანეს ახალციხეს.

20 თიბათვეს თბილისითგან რუსის მოციქული მოვიდა, ჯარი ახალქალაქს ამოსული ლეკების შეკების თაობაზედრა ეჭვია, ფაშამაც მოიწონა და შეუდგა რიგიან საშვალებას მათ გასადევნად ახალციხის მიდამოებიდგან; მაგრამ აღარ დასცალდა: აჭარლებმა პირი ერთი ჰქმნეს ფაშის გარდასაგდებლად. 9 ღვინობისთვეს ჰამიდ-ბეგი და არტან-ბეგი აჭარაზედ წავიდნენ მცირე ჯარითა დასამშვიდებლად. ჰამიდ-ბეგი ჯერ მიინდეს, მაგრამ მერმე კი უღალატეს. 18-ს ღამით შარიფ-ფაშა ციხითგან გაიპარა და წავიდა; 20-ს სელიმ-აღა ყიფიანი აჭარელის ჯარით ახალციხის ციხეში შევიდა, დაუბეჭდა ჭილიმუზაშვილს, ხიზანაშვილს და მეფისაანთ მელქონას სახლები; პირველს ჰამიდ-ფაშის თავის გაუპატიურების გამო, მეორეს ხშირად იმერეთში მგზავრობისა და მესამეს მეფის მეიჯარადრობისათვის, თვითან იმერეთს იყო და ცოლშვილიკი ახალციხეს ჰყავდა. შემდგომ დაუჩხრიკეს სახლები, ვერა ნახეს-რა, ჩავარდნენ მაშუალად ქრისტიანთ წინაპირნი ფალევანალიშვილის მუთი-ალის წინამძღვრობითა და როგორც იყო იპატივეს.

22 ღვინობისთვეს სელიმ აჭარელი ხიმშიაშვილი მოვიდა მსუბუქი ჯარით, მას მერმე მოჰყვნენ რიგ-რიგად: ქართლითგან სელიმ-ალის შვილი დადა-ალა მოვიდა, ფოცხოვითგან ჩოლაღ-ხალილა, ფოცხოვ-ბეგიდა აჰმად-ბეგი მოვიდნენ

| | | |
|---|---|---|
| ალმოსავლეთის, მესამე — | „— „ | |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—85 | |
| გირაოს ფურცელი — | „— „ | |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | | |
| | მან. კაპ. | |
| პირველი სესხის— — | 228—62 | |
| მეორე სესხის — — | 222—55 | |
| 1 მანეთი ღირს: | | |
| ლონდონი — — | 25—12 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 214—25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 265— „ | სანტიმი |
| ვენა — — — | 129— „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

# საქართველო

## დღიური

*** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც თფილისის სავაჟო ოთხ-კლასიანი პროგიმნაზია ამ წლის 1 ენკენისთვიდამ გადაკეთდება ექვს-კლასიან სავაჟო პროგიმნაზიათ. ამ სასწავლებლისათვის აქამდის 19,241 მან. იხარჯებოდა წელიწადში და ახლა ამ ფულს კიდევ უნდა მიემატოს კავკასიის აქეთა მხრის შემოსავლიდამ 8,671 მან. მუდამ წელიწადს.

*** გამოჩენილი ავაზაკის ტატო წულუკიძის საქმე ამ ნოემბრის თვის 17-ს განიხილება თფილისის სამხედრო ოლქის სასამართლოში. ამ საქმის განხილვის დროს გარეშე პირნი სასამართლოს ზალაში მხოლოთ ბილეთებით იქნებიან შეშვებულნი.

*** გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი სია იმ პირთა და უწყებათა, რომელნიც სწირავენ რასმე გორის საქალებო პროგიმნაზიის გასახსნელად:

თვითონ ქალაქი გორი წელიწადში 1000 მანეთს, გორის კრუჟოკი (კლუბი)—250 მან., გორის ქველ-მოქმედ საზოგადოებისაგან—300 მან., პოლკოვნიკის ისელიანისაგან (ექვსი წლის განმავლობაში)—300 მან.; ამას გარდა ამ ჟამად მომავალ პროგიმნაზიისათვის მოგროვილია კიდევ 361 მან.; ამავე პროგიმნაზიისთვის იქნება ის ნივთები (500 მანეთამდინ ღირსებული), რომელიც გორის საქალებო შკოლას დარჩა.

ამნაირად, გარეშე და მოულოდნელ შემოსავალს გარდა, გორის საქალებო პროგიმნაზიას მუდამ წელიწადს 2,000 მანეთამდინ შემოსავალი იქნება.

*** შემდეგ ახირებულ ამბავს გვწერენ რკინის გზის აბაშის სტანციიდამ:

„აბაშის სტანციასთან არის სულ ოცდაოთხი დუქანი; ამათ რიცხვში ბაზრის ბოლოზედ იყო ერთი სახლი, რომ ელშიაც იდგა ერთი ღარიბი ხარაზი.

„ამ დღეებში, ერთ დილას, იმ სახლის პატრონი გარბოდა თავ-მოგლეჯილი. ვკითხე—რა დაგემართა-თქო?—ბატონო, ქურდობა კი გამიგონია, მაგრამ რაც მე მომივიდა, ამისთანა ჯერ არ მომხდარა არსადო: სახლი მომპარესო! მე ვკითხე: რა მოგპარეს სახლში-მეთქი?—თქვენ დალოცვილო, თქვენ იცინით და მე არ მეცინება! ხომ გესმის ქართული—სახლი მომპარეს-მეთქი! და გაჯავრებული გაიქცა დეპუტატებთან გამოსაცხადებლად.

„მე წაველი სანახავათ [illegible] და იქ ნამცეცა აღარა იყო [illegible] ღვევიათ ქურდებს სახლი იმ ხარაზისა, მოუყვანიათ ხარ-კამბეჩები და წაუღიათ ისე, რომ არა თუ სხვა მედუქნეებსა, ვერც ღამის ყარაულებს შეუტყვიათ-რა!... ჯერაც არ იცის კაცმა, სად წაიღეს ამ საგანგებო ქურდებმა ეს სახლი...“

*** სოფ. აბაშიდამვე გვწერენ, რომ, თუმცა ჯერ, ღვთის მადლით, შიმშილობა ჩვენკენ არსად არისო, მაგრამ ჩვენ კი პური ვერ გვიშოვნია საყიდლათ აქაურ მეფურნეების წყალობითაო. გარეანქა მეორე ხარისხის პური 7 კაპეიკად იყიდებაო; მაგრამ ისეთი შავი, უმი და საძაგელი, რომ პირში რომ ჩაიდებ, თითქო ტალახს სჭამ, ისე გეჩვენებაო და თუ რამე გაბედე და უთხარი ბატონ: მეფურნეს, ამ პურსაც აღარ მოგყიდის და ძალა-ნებურად მშიერი უნდა დარჩეო. აგრეთვე უსვინიდისოთ იქცევიან, კორრესპონდენტის სიტყვით, იქაური ყასბებიც, რომელნიც უეჭველად ატყუილებენ ხოლმე მუდამ ყოველ მყიდველს წონაში. ამის თაობაზე და პურის თაობაზე რამდენჯერმე შეუდგინეს აქაურ ვაჭრებს აქტი, მაგრამ ამ აქტებიდამაც არა გამოვიდა-რა; ისინი თავისას არ იშლიან...

*** ჩვენი გაზეთის მე-213 ნომერში დაბეჭდილი იყო იმერეთიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი აგვიწერდა ჩინოვნიკის ბალიასნის უკანონო მოქმედებას ოკრიბაში ადგილების გამიჯნის დროს.

---

ჯარითა. შარიფ-ფაშა ოლთისისკენ იმრავლებდა მომხრეთა. 29-ს სელიმ-ხიმშიაშვილი თავის მომხრეებით წავიდა საბრძოლველად შარიფზედ, სადაც ჯერ მსუბუქი კინკლაობა ჰქონდათ ცხენოსანთ და შემდომ ცხარე შეტაკება რამდენიმე დღეს. ხიმშიაშვილს გაემარჯვა და შარიფ-ფაშა დიდად დაემარცხებინა. 10-ს გიორგობისთვეს დიდი შადლიღი ჰქმნეს ციხეში ზარბაზნები ისროლეს, 22-ს აჭარლებმა ოლთისის ციხეც აიღეს და ასრე გათავდა საქმე. იქითგანვე სელიმ ხიმშიაშვილი აჭარას გარდვიდა და შეიერთა ყველანი თავის მომხრედ. ამბობენ საკვირველი მიმზიდველი, გონიერი კაცი იყოვო; მასთან ერთად ჰქონია მამულის მოყვარულობაც დიდი; თურმე როგორც აჭარლები, ისე მრთელი ახალციხის და მის მიდამოს მაჰმადიანთ თუ ქრისტიანთ მესხობა დიდად თანაუგრძნობდნენ.

1803 წელს უეცრად ღამე თავს დაესხნენ და ჭილიმუხაშვილი მისიშვილით ხელებ გაკრული გაიყვანეს ახალციხიდგან. წნირს კაპნებში დახვდა ვიცლა ენიჩარი სელიმ-ალა ყიფიანის მონათესავე, ნახა რომ ჭილიმუხაშვილისშვილი სამწუხროდ სტიროდა, შეებრალა თურმე, შვილი იჩუქა და მამა მისი კი ველარა; ჩაეყვანათ აწყვერს, მოებათ ქვა კისერზედ, გარდეგდოთ სიღიდგან და დაეხჩოთ. შემდეგ სელიმ ხიმშიაშვილს კაფუჯობა მოუვიდა. 26 თებ. ახალციხეს გარდმოვიდა; მივიდნენ ყველანი მოსალოცავად და სიყვარულით მიეღო. დაარიგა, დააკვალა ყველანი, რა მოელოდნენ სასიამოვნო შედეგებსა; საქმეები მეტად აირ-დაირია. 13-ს მარსა ჰათიღ-ბეგს და არტან-ბეგს თავები დასჭრეს. 20-ს აპრილს. ხიმშიაშვილი ახალციხითგან თავის ყოველი ჯარით წავიდა. 25 მაისს რაჯამ ახალი ფაშა თავის ცხენოსანი ჯარით ახილციხის ციხეში შევიდა. 27-ს ფაშის ბრძანებით მეტყევე ლეკები დაახჩეს. მაგრამ ქალაქის მიდამოებში ჩამდგარ ლეკებს კი არ შეეხნენ, უფრო აწყვერს, რომ მათი საბუდარი იყო. 20-ს თიბ. კათოლიკები დაატყვევეს; მიზეზი ჰქმნეს ეკკლესია, მაგრამ თავი საგანი იყო, თქვენ რუსის მოსვლა გინდათო; როგორც იყო ჯარიმით თავი გამოიხსნეს. ფაშამ ფირმანი წაუკითხა ოჯახლის (წარჩინებულთა). თვანგჩიდელი და ენიჩარი წავიდა ლეკზედ აწყვერისაკენ. არ შეიშინეს, უჩხუბრად ფეხიც არ მოიცვალეს. 1 მკათ. რუსისა და ქართლის ჯარი ქოთელას გარდმოვიდა და იქიდგან ასპინძას. სელიმ-ალა ყიფიანისშვილი მუსტაფა ახალქალაქს მოეკლათ. სელიმ ხიმშიაშვილი მოციქულად წავიდა რუსთან ასპინძას, გაუვიდა სიტყვა და უკან წავიდნენ; აგრეთვე აწყვერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კორრესპონდენციის შესახებ ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში სოფ. საწირის მამასახლისისაგან ბეჭდით დასმული წერილი, რომელშიაც იწერება, რომ უფ. ბალიასნი ძალიან პატიოსანი ჩინოვნიკი არისო, მარშან ერთი საქმე მქონდა იმასთანაო და ერთი ურემი თივა მიუტანეო, მაგრამ იმდენად პატიოსანი კაცი არისო, რომ მუქთად არ წაიღო, ამ ერთ ურემ თივაში ორი მანეთი ფული მომცაო, და ორმოცი მანეთის საქმე მომაგებინაო...

ამ საბუთით გვიმტკიცებს უფ. საწირის მამასახლისი უფ. ბალიასნის პატიოსნობასა და კარგ ჩინოვნიკობასა...

*** ერთს აქაურს სომხურ გაზეთში („მეღუ-აიასტანში") იწერებიან, რომ ამას წინათ რამდენიმე ოჯახი სომეხი (სულ 59 სული) აყრილან შავის ზღვის ნაპირა ქალაქიდამ სომსუნიდამ, და რადგან ერთობ შეუწუხებიათ იქ დასახლებულ ჩერქეზებსა, ჩამსხდარან ღამით და გადმოსახლებულან სოხუმის მაზრაში, სახელდობრ პიჭვინტას. მაგრამ, რადგან თავიანთი სურსათი შემოლევიათ და სხვა არა მხრიდამ არავითარი შემწეობა არ მიუციათ, ამის გამო ამ ჟამად ეს სომხები დიდს გაჭირებაში არიანო და რამდენიმე ამათგანი კიდეც დაიხოცაო.

*** ზემო იმერეთიდამ გვწერენ ვითომც დაბა ყვირილაში სცხოვრებს ერთი ვიღაც გლეხი, რომელიც ბნედიან ავათმყოფებს არჩენსო.

ჩვენს ხალხში ბევრი ისეთი ავათმყოფობის წამლობა იციან, რომელსაც ახლანდელი მედიცინა ვერ არჩენს; შესაძლებელია, რომ ბნედის წამლობაც იყოს. ამის გამო კარგია, თუ ნამდვილათ იცის ხსენებულ გლეხმა ამ ავათმყოფობის წამლობა, გამოჩნდეს ვინმე მადლიანი და საქვეყნოთ გამოაცხადოს ეს საშუალება.

---

# განცხადებანი

## ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-17 § ძალით, ინიშნებიან საზოგადო ვაჭრობით გასაყიდლათ ხსენებულ ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო-აღნიშნულთა პირთა, წესდებისამებრ შემოსატანთა ფულთა მათ მიერ გადაუხდელობისაგამო.

ვაჭრობა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა შესახებ, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ისამებრ, შემოიტანებენ უკლისად ბანკის ხვედრ ვადა-დასახადს და აგრეთვე განცხადების ხარჯებს.

| გვარი, სახელი, მამის სახელი და წოდება მოვალეთა. | რა გვარი მამულია. | სად მდებარეობს მამული. |
|---|---|---|
| გოგიავა, ვასილ კონსტანტინეს ძე, მოქალაქე. | ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 241 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით. | ქუთაისს, პოლიც. ქუჩაზე. |
| გურიელისა, ელეონორა მიხაილის ასული, თ. | ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, აგეთივე სამზარეულოით, 1230 ოთხ-კუთხი საჟ ბაღით და ეზოით. | ქუთაისს, ბალახვანის ქუჩაზე. |
| წერეთელი, ნესტორ დიმიტრის ძე, თ. | ორ-სართულიანი სახლი, რომლის ქვედა სართული ქვითკირისაა და ზედა—ხისა, 300 ოთხ-კუთხი საჟ. ბაღით და ეზოით. | ქუთაისს, თფილისის ქუჩაზე. |
| კიკიანისა, ტასია გლახუას ასული, აზნაური. | ერთ-სართულიანი ხის სახლი, აგეთივე სამზარეულოით და 144 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით. | ქუთაისს, მეორე საპრისტავოში. |
| აბაშიძე, ტარასი ვახუშტის ძე, თავ. | სამოსახლო, ზვარები და სახნავ-სათესი, ზომით 21 დესიატინი და 2000 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელთ ზედა-საქარას და დაბალ-საქ. შორაპნის უეზდისა. |
| პრინცი, ნიკოლოზ პეტრეს ძე, და ნოვოსელსკი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. | სახნავ-სათესი და ტყე, ქვისნახშირითურთ, ზომით 204 დესიატ. და 377 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელს ტყიბულს ქუთაისის უეზდისა. |
| ჯაფარიძე, ტარიელ მერაბის ძე, თავ. | სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით ორი დესიატინი და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელს ღარს რაჭის უეზდისა. |
| ცქიტიშვილი, სიმონ იესეს ძე, აზნაური. | სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 8 დესიატინი და 1237 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელს მარტოთუბანს შორაპნის უეზდისა. |

---

ლეკებთან მან იშუამავლა და უჩხუბრად გაიკრიფნენ, წავიდნენ ლეკები. ახალციხელებს რაჯაბ-ფაშაზედაც არ გაუთბათ გული, შეერთდნენ მაჰმადიანებთან ქრისტიანები, მიჰმართეს ჯეროვან ადგილებს, დახარჯეს თეთრი და მოუტანიეს სელიმ ხამშიაშვილს ფაშობა და სელიმ-ალა ყიფიანს მუსალიმობა. თუმც შარიფ-ფაშამ უარა გარს ახალციხეს თავისიჯარით, ხან ახალქალაქს შემოადგა ციხის ასაღებად, ხან არტაანს მივიდა, მაგრამ ყველგან მოიშალა და გაიქცა. 29-ს რაჯაფ-ფაშა წავიდა, გაიკრიბა თავის ათბაჰით (ცხენოსნით) ახალციხიდგან.

სელიმ-ფაშა გულ-დამშვიდებით შევიდა ახალციხის ციხეში; მაგრამ გამდგარმა ქურთებმა არ მოუსვენეს; წავიდა ჯარით შეება და საშინლად დაამარცხა ისინი. როცა ოლთისელებმა თავიანთი ნება ვერ შეისრულეს შარიფის გაფაშებაზედ, მოითხოვეს მთავრობისგან თურმე გურჯი ოსმან ფაშა კარგი მშვიდობიანი და გონიერი კაცი. ეს მოვიდა აზრუმს; მაგრამ რა გაიკითხა საქმე დაახლოებით და გაიგო ყოველი გარემოება, უკუდგა.

აეშალენ კიდევ ვილაცაები სელიმ-ფაშას; შირინალა და სარვან-ოღლი აზრუმს წავიდნენ ოსმან ფაშასთან; სელიმ ფაშამ ცივად მოპყრობა დაუწყო საზოგადოებას; კარგ კაცთ სწყინდათ და ავკაცთ უხაროდათ. ამ დროს ჰაჯისული ბეგმა ქართველი ტყვეები მალვით წაიყვანა სტამბოლს.

1804 წ. მოხდა აშლა პარსებისა რუსზედ. რუსი და ქართველი ერევანზედ წავიდა; ფოთს რუსის ხომალდები აღმოჩნდნენ. ახალციხეს შიში გაჩნდა. 29 მაისს ქალაქს გარე თხრილების თხრა დააწყობინეს მცხოვრებთ; 190 მხარი სივრცე ქრისტიანთ შეუკვეთეს. 8 მკათათვეს რუს-ქართველთ დაამარცხეს სრულიად ყიზილბაშები. გრიგოლ და ვასილ მღვდლები აწამეს იოანნე ნათლის მცემლის ეკკლესიის მახლობლად; მიზეზი ტყვეებსა აპარებთო; ამბავს აგზავნითო და ამისთანაები. ამ დროსვე უდის პავლე მღვდელი ხუციძე დაიჭირეს. იქავ ხუნდი შეუყარეს ფეხებში და ათი დღე დილა-სალამოს შიშველ ფეხებზედ ჯოხს სცემდნენ თურმე: სწორე თქვი შენ გაპარე ტყვეებიო; მერმე კი ჯარიმით და დიდის ვაი-ვაგლახით ეპატიებინათ. მართლა ვიცლა თავადიშვილები განეთავისუფლებინათ ტყვეობითგან.

ვინმე მესხი.

(გაგრძელება)

| | | |
|---|---|---|
| **ჩიქოვანი,** სისო მანუჩარის ძე, თავ. | სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 31 დესიატინა და 200 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელს ლასურიაშს ლეჩხუმის უეზდისა. |
| **გოთერაშვილი,** აბრამ დანიელის ძე, და **ელაშვილები,** იოსებ და აბრამ შამელას ძენი, მეორე გილდის ვაჭარნი. | სახნავ-სათესი, ზომით 138 დესიატინა. | სოფელსა ჭყუშურს ქუთაისის უეზდისა. |
| **კიკიანისა,** ანნა შირანის ასული, აზნაური. | სამოსახლო და სახნავ-სათესი, ზომით 9 დესიატინა და 695 ოთხკუთხი საჟენი. | სოფელსპატრიკეთს ქუთაისის უეზდისა. |
| **ერისთავი,** ივანე ოტიას ძე, თავადი. | სახნავ-სათესი და ზვარები, ზომით 84 დესიატინა და 1023 ოთხ-კ. საჟ. | სოფელთა ამაღლებას, ინაშაურს და უხუთს ქუთაისის უეზდისა |
| **ხიხაძე,** სოსია ბერიკას ძე, გლეხი. | სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 3 დესიატინა და 223 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელსა საზანოს შოროპნის უეზდისა |
| **ხიხაძე,** მამუკა ბერიკას ძე, გლეხი. | სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 1 დესიატინი და 1561 ოთხ-კუთხი საჟ. | იმავე უეზდისა მასვე სოფელსა. |
| **ერისთვისა,** სოფიო ბაქარას ასული, თავ. | სამოსახლო და სახნავ-სათესი, ზომით 4 დესიატინი და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელსა თერჯოლას, შორაპნის უეზდისა. |
| **მაჭავარიანისა,** აგრაფენა ბეკოს ასული, ღენერალ-მაიორის მეუღლე. | სახნავ-სათესი, ზომით 26 დესიატ. და 100 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელსა ტყაჩირს ქუთაისის უეზდისა. |
| **ლორთქიფანიძე,** გიორგი როსტომის ძე, თავ. | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, 378 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით. | ქუთაისს ორპირის ქუჩაზე. |
| **ძუბენკოვისა,** მარიამ პეტრეს ასული, შტაბს-კაპიტნის მეუღლე. | ერთ-სართულიანი ხის სახლი, 369 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით. | ქუთაისს, ბალახვანის ქუჩაზე. |
| **მურადოვი,** თომა პავლეს ძე, მოქალაქე. | ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, 54 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით. | ქუთაისს, ალექსანდროვის ქუჩაზე. |
| **იგივე.** | სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 12 დესიატინა და 1820 ოთხ-კუთ. საჟენი. | ქუთაისის უეზდში, სალორიაზე. |
| **იგივე.** | ერთ-სართულიანი ხის სახლი, სამზარეულოთი და 806 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით. | ქუთაისს, ალექსანდროვის ქუჩაზე. |
| **ჩხეიძისა,** მელანია ქაიხოსროს ასული, აზნაური. | ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 26 დესიატინა და 15 ოთხ-კუთხი საჟენი. | სოფელს ლახუნდარას შორაპნის უეზდისა. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქის გამგეობისაგან

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** გამოიხმობს მსურველთ მიიღონ თავის თავზედ იჯარით:

1) აშენება დროებითი ხის სავაჭრო სახლებისა კახეთის მოედანზედ, ავლაბარში, და რუსის ბაზარში, და

2) გარდაკეთება და დაშენება ქალაქის სახლისა, რომელიც არის საპიორისა და პატარა მოდლოვოზნის ქუჩების კუთხეში.

ამ იჯარის აღების მსურველთ შეუძლიანთ გამოცხადდნენ ვაჭრობაზედ, რომელიც იქნება ქალაქის უპრავაში ამ ნოემბრის თვის 15-ს, ხუთშაბათს, 12 საათზედ.

ვაჭრობა სიტყვიერად იქნება და საქმე აქვე გარდაწყდება; ხელ-მეორედ ვაჭრობა აღარ დაინიშნება; შეიძლება მსურველმა კანვერტში დაბეჭდილი განცხადებაც შემოიტანოს.

მსურველს შეუძლიან ორივე ეს საკანი ერთად აიღოს იჯარითა და ან ერთი რომელიმე.

პროექტის, სმეტისა და პირობების ნახვა შეიძლება უპრავაში მუდამ დღე (დღესასწაულებს გარდა) დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—2)

---

კნიაზი იოანე კოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი აუწყებს საზოგადოდ ცნობად, რომ სავაჭრო სახლი წოდებით **„კნიაზ იოანე კოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი და კ-“** შედის მოქმედებაში 1-ს ნოემბერს ამა 1879-წლისას.

კანტორა სავაჭრო სახლისა იხსნება ქ. ტფილისს, რუსის ბაზარში, სახლი № 10.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| ტფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ. | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) ტფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი 11 ნოემბ. | — | — |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 55 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 65 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 11 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 65 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 25 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 14 | — |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

### ტფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

**ორშაბათს:** ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—ვენერიულის და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

**ოთხშაბათს:** ლისიცევი—შინაგ, ასტვაცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

**პარასკევს იქნებიან:** ლისიცევი, შინაგ.; ასტვაცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

**შაბათს:** ვერმიშევი, შინაგ.; ყურავლევი.—ვენერ. და კანის, რეიხი—თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Ноябръ 1879 г. Типографія Меликова.* გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.